ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის წერილის #10/18489 პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მ/წ 30 ოქტომბერს 6 საათზე, გლდანის რაიონის გამგეობის მისალებში (მის: საარჯიშვილის N1) შედგება ამომრჩevლებთან ანგარიშის წარდგენა ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. ანგარიშს წარმოგიდგენთ დანართის სახით.

დანართი 24 ფურცელი.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გლდანის მაჟორიტარი დეპუტატი /მ.შელია/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
შემოსულია ასლები 25 ფურცელი
№10/18498 26.10.15

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის მურთაზ შელიას
2015 წლის ანგარიში

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო,მე როგორც გლდანის კენტი მ/რაიონების მაჟორიტარი დეპუტატი პატივი მაქვს წარვსდგე თქვენს წინაშე 2015 წლის ანგარიშით.

როგორც მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოში წარმოვადგენ ფრაქციას "ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის" ასევე ვარ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიების შემადგენლობაში.

თქვენის ნებართვით გადავალ უშუალოდ ჩემი ანგარიშის განხილვაზე.

მე როგორც გლდანის მ/რაიონების წარმომადგენელი საკრებულოში მაჟორიტარის ფუნქციას ვახორციელებ ადგილზე ჩემი ბიუროს მეშვეობით. გვაქვს ტრადიციული „ოთხშაბათის შეხვედრები"

2015 წელს გვქონდა მაჟორიტართან მიღების 37 დღე. დანარჩენ სამუშაო დღეებში ბიურო მუშაობს და აგრძელებს მოსახლეობის მიღებას.

იანვრიდან დღემდე ბიუროს მომართა ათასზე მეტმა ადამიანმა. აქედან პირადად ჩემთან შეხვედრაზე იყო მოსული ოთხასზე მეტი ადამიანი.

არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე მოქალაქე მოდის სხვადასხვა საკითხზე, გამომდინარე აქედან ბიუროსთან მომართვის რაოდენობა გაცილებით მეტია.

მოქალაქეები ძირითადად მოგვმართავენ სოციალურ საკითხებზე;
სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებისათვის,
მედიკამენტების,ოპერაციებისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელი
სარეაბილიტაციო კურსების დაფინანსებისათვის ,ერთჯერადი ფულადი
დახმარებისთვის, სოციალური სტატუსის სამართლიანად
მინიჭებისათვის , შეშისთვის, გაზის გამათბობლებისთვის და
სოციალურად დაუცველი პირების გაზიფიცირებასთან დაკავშირებით ,
რომელთაც ვუწევთ შუამდგომლობას ქალაქის მერიაში , გლდანის
რაიონის გამგეობასა და სხვა შესაბამის დაწესებულებებში.
ასევე მოგვმართავენ პირები დასაქმებასთან დაკავშირებით, რომელთაც
ვუწევთ რეკომენდაციას შესაბამის სამსახურში ვაკანსიის არსებობის
შემთხვევაში,რომელთაგანაც გარკვეული ნაწილი დაკმაყოფილებულია .
მოგვმართავენ დაუკანონებელი ფართების დაკანონების
თაობაზე,რომელთაც ასევე გაეწიათ შესაბამისი
შუამდგომლობა,გარკვეული ნაწილი დაკმაყოფილებულია მეორე
ნაწილის საკითხი განხილვაშია.
მოგვმართავენ ასევე ინფრასტრუქტურულ საკითხებზე...

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ბიუროში შემოვიდა 560 განცხადება,რომელთა 90 პროცენტი დაკმაყოფილებულია, დანარჩენი განცხადებებს, რომელთაც უარი ეთქვათ, ამას აქვს კონკრეტული საფუძველი და ასევე რჩება განცხადებების ის ნაწილი,რომელიც ჯერ განხილვაშია,
მედიკამენტები დაუფინანსდა 173 მოქალაქეს,
ოპერაცია დაუფინანსდა 34 მოქალაქეს,
ჯანმრთელობის რეაბილიტაციის კურსი დაუფინანსდა12 მოქალაქეს,
მკურნალობა დაუფინანსდა 41 მოქალაქეს,
ბინის ქირით დაკმაყოფილდა 11 მოქალაქე,
ერთჯერადი ფულადი დახმარება გადაეცა 4 მოქალაქეს,
გარდა ბიუროში შემოსული განცხადებებისა და მათზე სათანადო შუამდგომლობებისა, შეხვედრებიდან გამომდინარე მყისიერად ვრეაგირებთ მოქალაქეთა თხოვნებზე და პირადი კონტაქტების მეშვეობით ვურთიერთობთ მერიის და გამგეობის სხვადასხვა სტრუქტურებთან, რის საფუძველზეც მოქალაქეებს ვეხმარებით მათთვის პრობლემური საკითხების მოგვარებაში, შუამდგომლობის გარეშე დაკმაყოფილებულია ორასამდე მოქალაქე.

აქტიურად ვთანამშრომლობთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა საკითხებზე. სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგია ის, რომ ყველა მომმართველს გადავეცით ეტლი და მომავალშიც გავაგრძელებთ შშმ პირთა დახმარებას.
როგორც თქვენთვის არის ცნობილი გლდანის რაიონში კომპაქტურად არიან ჩასახლებული დევნილები, მათ შორის კენტი მ/რაიონების ტერიტორიაზე –17 მისამართზე, ვცდილობ განსაკუტრებული ყურადღება გამოვიჩინო მათ მიმართ. ბიურო სისტემატიურად ჩართულია ყველა საკითხის გადაწყვეტის საქმეში, მაგალითად: ფართების დაკანონებას, შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებას, ოპერაციებისა თუ მედიკამენტების დაფინანსებას...

კენტი მიკრორაიონების ტერიტორიაზე არის ორი უფასო სასადილო რითაც სარგებლობს 1200–ზე მეტი ბენეფიციალი, ბიუროში ყოველი მომართვა უფასო სასადილოში დარეგისტრირების თაობაზე მაქსიმუმ ერთი კვირის განმავლობაში გათვალისწინებულია გლდანის რაიონის გამგეობის მიერ...

გლდანის კენტი მიკრო რაიონების ტერიტორიაზე არის 6 საჯარო სკოლა და 5 საბავშვო ბაღი. ბავშვების რაოდენობიდან გამომდინარე, საბავშო ბაღები არის ძალიან გადატვირთული და მძიმედ დგას ეს საკითხი. I მიკრო რაიონში უკვე სრულდება 450 ბავშვზე გათვლილი ახალი ბაგა–ბაღის მშენებლობა და ასევე ბიურო ტერიტორიის მოძიების პროცესშია, კიდევ ერთი ახალი ბაღის ასაშენებლად ადგილის შერჩევისთვის...

წლის დასაწყისიდან პირადად გავეცანი თითმქის ყველა კორპუსის ამხანაგობის თავჯდომარეს . უშუალოდ მათგან მივიღე თითოეული კორპუსის პრობლემატიკაზე ინფორმაცია. ამჟამად უკვე შეგვიძლია ვთქვათ,რომ გლდანის კენტ მიკრო რაიონებში, არ გვრჩება კორპუსი, რომელსაც აქვს სახურავის პრობლემა (თუ რათქმა უნდა არ წარმოადგენს დაუკანონებელ ფართს).
რაც შეეხება მომართვებს კორპუსის, ეზოს, გზის, სკვერის , მოსასვენებელი პავილიონსა და საბაღე სკამების დადგმის და შემოერთებულ დასახლებებში წყლის, კანალიზაციის და გზის საკითხებს, თითოეულ ამ თემას განვიხილავთ ბიუროში და შემდეგ ბიუროს ხელმძღვანელი წარუდგენს რაიონის გამგებელს და გამგეობის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებს.
მაჟორიტარის ბიურო უწყვეტ რეჟიმში ჩართულია პროცესში, სისტემეტურად ხდება შეხვედრები მოსახლეობასთან ადგილზე,მათი განცხადების და მომართვის საფუძველზე, პრობლემის ადგილზე გასაცნობად , აგრეთვე დაგეგმილი ინფრასტრუქტული პროექტების შესრულების პროცესში.

გლდანის კენტ მიკრო რაიონებში 2015 წლის იანვრიდან დღემდე 11 შიდაკვარტალურ გზას ჩაუტარდა რეაბილიტაცია:

1 გლდანის V მ/რ, ყოფილი 140–ე ბაგა–ბაღი (ფართი 1760)
2 გლდანის III მ/რ, N10ა კორპუსი. (ფართი 2038)
3 გლდანის VII მ/რ, N15–17 კორპუსების მიმდებარედ (ფართი 1087)
4 გლდანის VII მ/რ, N11ა კორპუსის მიმდებარედ (ფართი 1715)
5 გლდანის VII მ/რ, N6ბ–9ა კორპუსების მიმდებარედ (ფართი 2524)
6 გლდანის III მ/რ, N77–88 კორპუსების მიმდებარედ(ფართი 2236)
7 გლდანის III მ/რ, N87 კორპუსის მიმდებარედ (ფართი 462)
8 გლდანის I მ/რ, N17 კორპუსის მიმდებარედ (ფართი 1032)
9 ხიზანიშვილის ქ. N57 მიმდებარედ (ფართი 2370)
10 გლდანის VII მ/რ N 4 კორპუსის მიმდებარედ (ფართი 714)
11 გლდანის I მ/რ N 11–12–13 მიმდებარედ (ფართი 2236,4)

გლდანის კენტ მიკრო რაიონებში 2015 წლის იანვრიდან
დღემდე 5 ტერიტორიაზე მოხდა გზის ორმოულების შეკეთება:

1. ხიზანიშვილის ქუჩა
2. ბოჭორიშვილის ქუჩა
3. გლდანის I მ/რ N8–14 კორპუსის
   მიმდებარედ
4. გლდანის III მ/რ N81 კორპუსიდან
   გლდანის VII N 24 კორპუსამდე
5. ხიზანიშვილის ქუჩა)გლდანის
   პარკის შესასვლელი)

გლდანის კენტ მიკრო რაიონებში 2015 წლის იანვრიდან დღემდე მოხდა 2 სანიაღვრე –საკანალიზაციო ქსელის მოწყობა:

1. გლდანი III მ/რ კორპ N9-ში
   სანიაღვრე ქსელი.

2. გლდანი III მ/რ კორპ N10ა–ს
   მკვება წალსადენის ქსელი.

გლდანის კენტ მიკრო რაიონებში 2015 წლის იანვრიდან
დღემდე მოეწყო 2 სკვერი, 6 მოსასვენებელი პავილიონები და დაიდგა 85 საბაღე სკამი.

1. გლდანის I მ/რ, N3 კორპუსის მიმდებარეთ .
2 . გლდანის III მ/რ, N77–78 კორპუსის მიმდებარეთ.
3. გლდანის კენტი მიკრო რაიონების ტერიტორიაზე მოსასვენებელი პავილიონი:

. გლდანი V მ/რ კორპ N18–ის მიმდებარედ
. გლდანი V მ/რ N177–ე საჯარო სკოლის მიმდებარედ
. გლდანი VII მ/რ კორპუსი N16–ის მიმდებარედ
. გლდანი VII მ/რ კორპუსი N9ა –ს მიმდებარედ
. გლდანი I მ/რ კორპუსი 23ბ –ს მიმდებარედ
. გლდანი III მ/რ კორპუსი N8 –ის მიმდებარედ

4. ასევე დაიდგა 85 საბაღე სკამი .

გლდანის რაიონში აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპულთა მემორიალს და მიმდებარე სკვერს ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

გლდანის კენტ მიკრო რაიონებში 2015 წლის იანვრიდან
დღემდე 2 სპორტულ მოედანს ჩაუტარდა
რეაბილიტაცია:

1. გლდანის VII მ/რ N7 კორპუსის მიმდებარედ.
2. გლდანის I მ/რ N 17 კორპუსის მიმდებარედ.

გლდანის კენტ მიკრო რაიონებში 2015 წლის იანვრიდან დღემდე მოეწყო 2 კიბე და 100 პანდუსები :

1. გლდანის VII მ/რ, ხიზანიშვილის ქუჩიდან N4ა კორპუსამდე ასასვლელი კიბის რეაბილიტაცია.
2. ბერთუბნის დასახლებაში საფეხმავლო ბილიკს ადგილზე კიბის მოწყობა.
3. გლდანის I მ/რ, ყოფილ პედაგოგიურ კოლეკში ჩასახლებულ დევნილების ეზოში არსებული კიბის რეაბილიტაცია
4.გლდანის კენტი მიკრო რაიონების ტერიტორიაზე საფეხმავლო გზებზე ვაკეთდა 80 პანდუსი.

გლდანის კენტ მიკრო რაიონებში 2015 წლის იანვრიდან დღემდე 30 კორპუს ჩაუტარდა ბრტყელი სახურავის რეაბილიტაცია:

1. გლდანი I მ/რ კორპ N6
2. გლდანი I მ/რ კორპ N23ბ
3. გლდანი III მ/რ კორპ N11
4. გლდანი III მ/რ კორპ N87
5. გლდანი V მ/რ კორპ N24
6. გლდანი VII მ/რ კორპ N10
7. გლდანი VII მ/რ კორპ N24
8. გლდანი VII მ/რ კორპ N17
9. გლდანი I მ/რ კორპ N 17
10. გლდანი I მ/რ კორპ N 1ა
11. გლდანი I მ/რ კორპ N23
12. გლდანი I მ/რ კორპ N8
13. გლდანი III მ/რ კორპ N10
14. გლდანი III მ/რ კორპ N68ა
15. გლდანი III მ/რ კორპ N79ბ
16. გლდანი III მ/რ კორპ N9
17. გლდანი IIIა მ/რ კორპ N22
18. გლდანი V მ/რ კორპ N19
19. გლდანი V მ/რ კორპ N 23
20. გლდანი V მ/რ კორპ N22ა
21. გლდანი VII მ/რ კორპ N16
22. გლდანი VII მ/რ კორპ N18
23. გლდანი VII მ/რ კორპ N 20
24. გლდანი VII მ/რ კორპ N5
25. გლდანი VII მ/რ კორპ N15
26. გლდანი IIIა მ/რ კორპ N20
27. გლდანი III მ/რ კორპ N 10ა
28. გლდანი IIIა მ/რ კორპ N 17
29. გლდანი V მ/რ კორპ N8ა
30. გლდანი V მ/რ კორპ N20

გლდანის კენტ მიკრო რაიონებში 2015 წლის იანვრიდან დღემდე 23 კორპუსში ლიფტს ჩაუტარდა რეაბილიტაცია:

1. გლდანი I მ/რ კორპ N11
2. გლდანი VII მ/რ კორპ N12
3. გლდანი I მ/რ კორპ N17
4. გლდანი I მ/რ კორპ N20
5. გლდანი I მ/რ კორპ N20ა
6. გლდანი I მ/რ კორპ N23
7. გლდანი I მ/რ კორპ N4
8. გლდანი I მ/რ კორპ N5
9. გლდანი I მ/რ კორპ N9
10. გლდანი III მ/რ კორპ N1
11. გლდანი III მ/რ კორპ N4
12. გლდანი V მ/რ კორპ N5
13. გლდანი V მ/რ კორპ N9ა
14. გლდანი VII მ/რ კორპ N1
15. გლდანი VII მ/რ კორპ N18
16. გლდანი VII მ/რ კორპ N2
17. გლდანი VII მ/რ კორპ N9ა
18. გლდანი IIIა მ/რ კორპ N20
19. გლდანი III მ/რ კორპ N8
20. გლდანი V მ/რ კორპ N28
21. გლდანი VII მ/რ კორპ N3
22. გლდანი V მ/რ კორპ N25
23. გლდანი V მ/რ კორპ N26ბ

გლდანის კენტ მიკრო რაიონებში 2015 წლის იანვრიდან დღემდე 2კორპუსს ჩაუტარდა ავარიული აივნების გამაგრებითი სამუშაოები:

1. გლდანი III მ/რ კორპ N79ბ ბინა N67 კედლის ელემენტის გამაგრების სამუშაოები.

2. გლდანი VII მ/რ კორპ N23 სართული N3 სადარბაზო N3 აივნის გამაგრების სამუშაოები.

გლდანის კენტ მიკრო რაიონებში 2015 წლის იანვრიდან
დღემდე 4 კორპუსში მოხდა საერთო სარგებლობის კიბეების
რეაბილიტაცია:

1. გლდანი I მ/რ
   კორპ N5
2. გლდანი III მ/რ
   კორპ N5
3. გლდანი I მ/რ
   კორპ N23ა
4. გლდანი III მ/რ
   კორპ N6



გლდანის კენტ მიკრო რაიონებში 2015 წლის იანვრიდან დღემდე 7 კორპუსს ჩაუტარდა სართულშორისი ნაპრალების რეაბილიტაცია:

1. გლდანი III მ/რ კორპ N77
2. გლდანი VII მ/რ კორპ N5ა
3. გლდანი I მ/რ კორპ N4
4. გლდანი III მ/რ კორპ N5
5. გლდანი VII მ/რ კორპ N17ვ
6. გლდანი VII მ/რ კორპ N15
7. გლდანი III მ/რ კორპ N8



გლდანის კენტ მიკრო რაიონებში 2015 წლის იანვრიდან დღემდე 5 კორპუსში გამოიცვალა შიდა წყალ–კანალიზაციის გაყვანილობა:

1. გლდანი VII მ/რ კორპ N12
2. გლდანი I მ/რ კორპ N5
3. გლდანი III მ/რ კორპ N84
4. გლდანი VII მ/რ კორპ N7
5. გლდანი I მ/რ კორპ N17ა



გლდანის კენტ მიკრო რაიონებში 2015 წლის იანვრიდან დღემდე 3 კორპუსს გამოეცვალა წყალსაწრეტი მილები (ჟოლობები)

1. გლდანი IIIა მ/რ კორპ N23
2. გლდანი V მ/რ კორპ N22ა
3. გლდანი I მ/რ კორპ N12



შემოერთებული დასახლებები:

გიორგი წმინდის დასასახლებაში წყლის პრობლემა აღმოფხვრილია. მიმდინარეობს მოლაპარაკებები წყალ კანალთან, კანალიზაციის პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ბერთ უბნის დასახლებაში გაკეთდა კიბე, რომელიც საფეხმავლო გზით უადვილებს ამოსვლას მოსახლეობას ცენტრალურ გზამდე .

წყაროთ უბნის წყლის პრობლემის მოგვარება გათვალისწინებულია შემდეგი წლისთვის, ასევე შემდეგი წლისთვის დაგეგმილია მაქსიმალურად მოგვარდეს გზის პრობლემა ამ დასახლებებში.

გლდანის კენტ მიკრო რაიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები
IV კვარტალი

შიდა კვარტალური გზები :
1. გლდანის I მ/რ კორპუსი N8 (ფართი 70)
2. გლდანის IIIა მ/რ კორპუსი N16 (ფართი 1058)
3. გლდანის IIIა მ/რ კორპუსი N17 (ფართი 1356)
4. გლდანის IIIა მ/რ კორპუსი N18 (ფართი 1339)
5. გლდანის IIIა მ/რ კორპუსი N19 (ფართი 1765)
6. გლდანის VII მ/რ კორპუსი N4 (ფართი 730)
7. მწვანე ქუჩა (ფართი 1250)

გზის ორმოული და ფრაგმენტული შეკეთება - ვიმედოვნებ, რომ ეს პრობლემა წლის ბოლომდე მაქსიმალურად იქნება აღმოფხვრილი.

კიბეების, საყრდენი კედლების,შშმ პირებისათვის პანდუსების და კიბის ბაქნების მოპირკეთების სამუშაოები:
გლდანის I მ/რ ყოფილი გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური კოლეჯი (სადაც ამჟამათ ჩასახლებული არიან დევნილები) კიბის სამუშაოები უკვე დასრულებულია (ფართი 1904)

კიბეები:
1. გლდანის III მ/რ კორპუსი N77 მიმდებარეთ.
2. გლდანის III მ/რ კორპუსი N7ა მიმდებარეთ.
ასევე გამოცხადებულია ტენდერი გლადის კენტი მიკრო რაიონი, ხევის პირის ქ. N20-დან ფარსმან II ქველის ქუჩამდე , დავით ჯაბიჯის ქუჩის პირდაპი კიბის და ბილიკის მოწყობის სამუშაოები.

ბეტონის გზები
ასევე გამოცხადებულია ტენდერი, ვლდანის VII მ/რ- დან ბერთუბნის ჩასასვლელამდე ბეტონის გზის გასაკეთებლად.

მომავალი 2016 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის თვალსაზრისით მაჟორიტარის ბიურო აწვდის გლდანის რაიონის გამგეობას მოსახლეების საჭიროებებზე დაფუძნებული, პრიორიტეტული სამუშაოების ნუსხას და ვიმედოვნებთ, რომ მომდევნო წლის ამავე პერიოდის ანგარიშის წარდგენის დროს გაცილებით მეტი და მნიშნელოვანი პროექტის წარმატებით განხორციელების შესახებ მომიწევს თქვენთან საუბარი.

დიდი მადლობა ყურადღებისათვის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრს

ბატონ მურთაზ შელიას

ბატონო მურთაზ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ანგარიში ძირითადად უნდა მოიცავდეს: საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას; საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაციას; ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაციას; ასევე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.

გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ ინფორმაცია ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენის ადგილის, თარიღისა და სხვა დამატებითი დეტალების შესახებ არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, რადგან საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი გრაფიკის შედგენა. საკრებულოს წევრს თავისი სურვილის შესაბამისად უფლება აქვს გამოიყენოს საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა ანგარიშის წარსადგენად. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საჯაროდ ცხადდება საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, წარდგენიდან 10 დღის ვადაში. შესაბამისად, გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ შესაბამისი ანგარიში წარდგენიდან 3 დღის ვადაში წერილობითი სახით.

დანართის სახით გიგზავნით, საკრებულოს წევრის ანგარიშის ნიმუშს.

პატივისცემით,

საკრებულოს აპარატის უფროსი

ელენე დუმბაძე
ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატი
№ 10/18498
"12" ოქტომბერი 2015 წ.
ფურცლის რაოდენობა 3 ფურცელი
0105, თავისუფლების მოედანი №2

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ---

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

- სხვა სახის ინფორმაცია

საკრებულოს წევრი

(სახელი; გვარი) *(ხელმოწერა)*

№10/18498
12.10.15

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრს

ბატონ მურთაზ შელიას

ბატონო მურთაზ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ანგარიში ძირითადად უნდა მოიცავდეს: საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას; საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაციას; ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაციას; ასევე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.

გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ ინფორმაცია ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენის ადგილის, თარიღისა და სხვა დამატებითი დეტალების შესახებ არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, რადგან საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი გრაფიკის შედგენა. საკრებულოს წევრს თავისი სურვილის შესაბამისად უფლება აქვს გამოიყენოს საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა ანგარიშის წარსადგენად. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საჯაროდ ცხადდება საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, წარდგენიდან 10 დღის ვადაში. შესაბამისად, გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ შესაბამისი ანგარიში წარდგენიდან 3 დღის ვადაში წერილობითი სახით.

დანართის სახით გიგზავნით, საკრებულოს წევრის ანგარიშის ნიმუშს.

პატივისცემით,

საკრებულოს აპარატის უფროსი ელენე დუმბაძე

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ---

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

- სხვა სახის ინფორმაცია

საკრებულოს წევრი

(სახელი; გვარი) *(ხელმოწერა)*